საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 24 სექტემბერი, 2014 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/ 13

,,სსიპ -ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 10 მარტის აკადემიური საბჭოს № 04-01/09 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-10 და მე-11 მუხლების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილება ,,სსიპ -ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 10 მარტის აკადემიური საბჭოს № 04-01/09 დადგენილების მე-2 მუხლის ბ) პუნქტში და საშემსრულბელო ხელოვნებაზე (ფორტეპიანო) დარჩენილი ვაკანტური ადგილებიდან 2 (ორი) ადგილი გადმოტანილ იქნას საშემსრულებლო ხელოვნების (აკადემიური სიმღერა) მიმართულებით.

2. მუსიკის ფაკულტეტზე საშემსრულებლო ხელოვნების (აკადემიური სიმღერა) მიმართულებით დამატებით გამოცხადდეს მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღება.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**